**ხელშეკრულება**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №02/66**
**CPV15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტები**

**ქ. თბილისი** **31 მაისი, 2016 წელი**

ერთი მხრივ სსიპ ,,შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი" მისი გენერალური დირექტორის მარინე ჩიტაშვილის სახით (შემდგომში - ,,შემსყიდველი") და მეორე მხრივ, შპს ,,ბადაგი", მისი დირექტორის ინგა ყაჯრიშვილის სახით, (შემსდგომში ,,მიმწოდებელი") ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მესამე პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი**

1.1. ხელშეკრულების საგანია მიზნობრივი გრანტის ფარგლებში ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მეშვიდე ჩარჩო პროგრამით (EP7) დაფინანსებული პროექტის ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი" Inco Net EaP-ის ფარგლებში გასამართ შეხვედრაზე მოწვეული სტუმრებისთვის საჩუქრად ჩურჩხელების (შეფუთვით) სახელმწიფო შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია:

**შეხვედრაზე მოწვეული სტუმრებისთვის ჩურჩხელების შესყიდვა.**

| დასახელება | რაოდენობა | ერთ. ფასი | ფასი |
|---|---|---|---|
| ჩურჩხელა შეფუთვით | 10 | 4,20 | 42,00 |

**2. ხელშეკრულების ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს **42.00 (ორმოცდაორი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით.

**3. შესყიდვის ობიექტის განხორციელების პირობები**

3.1 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღეს, 31 მაისს.

**4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

4.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს: სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი **ირაკლი გულუა.**

**5. ანგარიშსწორება**

5.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

5.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღის ვადაში.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საფინანსო დოკუმენტაცია (ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადები) წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

## 6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ მიწოდებული საქონლის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

6.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7.2 მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- მოითხოვოს შემსყიდველისაგან ხელშეკრულების სხვა პირობების დაცვა.

7.3 შემსყიდველი ვალდებულია:

- აცნობოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდების დროს აღმოჩენილი რაიმე წუნის შესახებ;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

7.4 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
- მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
9.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერიდ დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

## 11. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მომსახურების გაწევის პარალელურად მოახდინოს მომსახურების შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.
11.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული მომსახურების ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.
11.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.4 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 4.2 მუხლში მითითებული პირ(ებ)ი.

## 12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1.ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა საკითხების ირგვლივ.
12.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს უფლება აქვს დავის გადაწყვეტის მიზნით დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოებს.

## 13. სხვა პირობები

13.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთ პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
13.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## *14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

**შემსყიდველი**
სსიპ შოთა რუსთაველის
ეროვნული სამეცნიერო ფონდი
მის: ქ. თბილისი,
მ. ალექსიძის N1
სახელმწიფო ხაზინა
ბ/კოდი 220101222
ა/ა 200122900
ს/კოდი: 204578064

გენერალური დირექტორი

---

**მარინე ჩიტაშვილი**

**მიმწოდებელი**
შპს „ბადაგი"
მის:ქ. თბილისი, მიმინოშვილის ქ. N2
სს „თიბისი ბანკი"
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE89TB7759436080100001
ს/კოდი 404907222

დირექტორი

---

**ინგა ყაჯრიშვილი**

# ხელწერილი
# ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 31 მაისი, 2016 წელი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ აპარატის ფარგლებში ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მეშვიდე ჩარჩო პროგრამით (EP7) დაფინანსებული პროექტის ,,აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნების მეცნიერების, ტექნოლოგიისა და ინოვაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი" Inco Net EaP-ის ფარგლებში გასამართ შეხვედრაზე მოწვეული სტუმრებისთვის სასაჩუქრედ ჩურჩხელების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებით, ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და შესყიდვაში მონაწილეობით ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით შპს ,,ბადაგთან".

*სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორი*

მარინე ჩიტაშვილი -

*სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე*

გიორგი ჟღენტი -

*სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი*

მალხაზ ხოფერია –

*სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის იურიდიული და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე*

მარიამ იაშვილი –

*სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი*

ლანა შენგელია –

*სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური უზრუნველყოფის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი*

ირაკლი გულუა –